# ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა

## ტუროპერატორი

**საკონტაქტო ინფორმაცია :**
ქ. თბილისი , უნივერსიტეტის ქ. N 2
**ელ-ფოსტა:** cve@tsu.ge

**თბილისი**
**2018 წ**

I. **პროგრამის სახელწოდება:** ტუროპერატორი

II. **ჩაჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** 10101-პ

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

V. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტურისტულ (ტუროპერატორული) კომპანიაში, ასევე შეუძლია იმუშაოს ინდივიდუალურადაც, როგორც ინდ. მეწარმემ.

VI. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური ტუროპერატორი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

VII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სერვის მომწოდებლების შერჩევა
- მომწოდებლებთან ურთიერთობის დამყარება, ფასის შეთანხმება, კონტრაქტის გაფორმება
- ტურპაკეტების შექმნა/გაყიდვა
- ტურის მომზადება, დაგეგმვა და ორგანიზება
- გიდის, ტრანსპორტის, კვების ობიექტების და განთავსების საშუალებების შერჩევა
- ტურის მიმდინარეობის კონტროლი.

VIII. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.**

1. **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**
   **მოცულობა:** 114 კრედიტი
   **ხანგრძლივობა:** 19 სასწავლო თვე

2. **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**
   **მოცულობა:** 144 კრედიტი
   **ხანგრძლივობა:** 24 სასწავლო თვე

## IX. სტრუქტურა და მოდულები:

| ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 2 | ➢ საბაზო განათლება | 3 |
| 2 | მეწარმეობა 3 | ➢ საბაზო განათლება | 3 |
| 3 | ინგლისური ენა | ➢ საბაზო განათლება | 5 |
| ჯამი | | | 11 |
| სავალდებულო პროფესიული მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 4 | გაცნობითი პრაქტიკა - ტუროპერატორი | ➢ საბაზო განათლება | 2 |
| 5 | საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | ➢ სრული ზოგადი განათლება | 5 |
| 6 | საერთაშორისო ტურიზმი | ➢ სრული ზოგადი განათლება | 4 |
| 7 | ტურიზმის ინდუსტრია | მოდული:<br>➢ საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | 6 |
| 8 | ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა | ➢ სრული ზოგადი განათლება | 4 |
| 9 | დაჯავშნის საერთაშორისო სისტემები | ➢ სრული ზოგადი განათლება | 5 |
| 10 | ტუროპერეიტინგი 1 | მოდულები:<br>➢ ტურისტული ინდუსტრია<br>➢ საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები<br>➢ ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა | 7 |
| 11 | უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება | ➢ სრული ზოგადი განათლება | 3 |
| 12 | ტუროპერეიტინგი 2 | მოდული:<br>➢ ტუროპერეიტინგი1 | 7 |
| 13 | ტურისტული პროდუქტის მარკეტინგი 1 | მოდული:<br>➢ ტუროპერეიტინგი 2 | 6 |
| 14 | ტურისტული პროდუქტის მარკეტინგი 2 | მოდული:<br>➢ ტურისტული პროდუქტის მარკეტინგი 1 | 6 |
| 15 | დარგობრივი კომუნიკაცია | მოდული:<br>➢ ტურიზმის ინდუსტრია | 5 |
| 16 | საწარმოო პრაქტიკა - ტუროპერატორი | ➢ სრული ზოგადი განათლება | 12 |
| 17 | პრაქტიკული პროექტი - ტუროპერატორი | ➢ სრული ზოგადი განათლება | 6 |
| 18 | დარგობრივი უცხოური ენა - ინგლისური საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისთვის | ➢ სრული ზოგადი განათლება | 5 |
| ჯამი | | | 83 |
| არჩევითი მოდულები | | | |
| 19 | ღონისძიებების მოწყობა და ორგანიზება | ➢ სრული ზოგადი განათლება | 5 |
| 20 | დარგობრივი უცხო ენა-რუსული ტუროპერატორისთვის | ➢ სრული ზოგადი განათლება | 5 |
| 21 | მომხმარებელთა მომსახურება | ➢ სრული ზოგადი განათლება | 5 |
| 22 | ტურისტული საწარმოს მართვა | მოდულები:<br>➢ ტურიზმის მარკეტინგი<br>➢ ტურიზმის ინდუსტრია | 5 |
| ჯამი | | | 20 |
| სულ | | | 114 |

## X. ქართული ენის მოდულების გავლის შესახებ

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

## XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

## XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.